572
1968/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციცინა

1968
აგვისტო
№8

ჩვენი სტუმარია ბელორუსული საბავშვო ჟურნალი „ვიასილოკა“ (ცისარტყელა).

ВЯСЁЛКА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოთხრობები და ზღაპრები თარგმნა ლამარა ბოქერიამ. ლექსები იორამ ქემერგელიძემ.

19682

მე და ტოლიკა

ვასილ ხომჩანკა ნახატები ა. სუცევიჩისა

მე და ტოლიკა მეგობრები ვართ. მეც პირველ კლასში ვსწავლობ და ტოლიკაც. ცხოვრებითაც ერთ სახლში ვცხოვრობთ...

მასწავლებელმა გვითხრა: ერთმანეთს დაეხმარეთ ხოლმე, მეგობრები იყავითო.

გაკვეთილების შემდეგ ტოლიკასთან მივირბინე:

— მოდი, დაგეხმარები!

— რაში დამეხმარები?! გაკვეთილები უკვე ვისწავლე.

— მაშინ დავხატოთ რამე.

— უკვე მთელი რვეული გავავსე ნახატებით.

— იქნებ ხელები არ დაგიბანია?

— ხელებიც დავიბანე.

— შეხედე!—წამოვიძახე მე,—ხალათზე ღილი აწყვეტაზე გაქვს. დაგიკერებ.

— შენი ღილი ვერ დაგიკერებია, შარვალზე დაიხედე!

მე შარვალი გავიძრე, ტოლიკამ—ხალათი; მე ტოლიკას დავუკერე ღილი, ტოლიკამ—მე.

მერე დავსხედით და დავიწყეთ ფიქრი, კიდევ რითი დავხმარებოდით ერთმანეთს?

ტოლიკამ გაიხსენა:

— ჰო, მართლა, კისელი მაქვს, მომეხმარე შეჭმაში.

— სიამოვნებით!

კისელი გიახელით. მერე ჩემთან წამოვედით და კომპოტი დავაყოლეთ.

გველის ნასკვი

ილია შახრაი

ნახატი ა. სალქოვისა

ერთი უგუნური ბარტყი დედას გაეპარა: მარტო სეირნობა მოისურვა, ბუდიდან გადმოხტა და ბილიკს გაუყვა.

ფრენაც მოინდომა, მაგრამ სადა ჰქონდა ფრენის თავი,— ერთ დაბალ ტოტზე ჩამოისვენა,—ტოტი მიწას დასტრევდა.

ამ დროს გველმა მოჰკრა თვალი.

— სწორედ შენ გნატრობდი, ჭყიპინავ,— თქვა გველმა და ხახა დააღო ბარტყის ჩასაყლაპავად.

— მოიცა, გველო! მომისმინე და რასაც გეტყვი, დაიხსომე: რომ შემჭამო, დედაჩემი მოგკლავს.

— დავიხსომებდი,—ამოიოხრა გველმა,— მაგრამ მეხსიერება არ მივარგა, გულმავიწყი ვარ.

— მაშინ ნასკვი გაიკეთე, რომ არ დაგავიწყდეს,—ურჩია ბარტყმა.

— კეთილი,—დათანხმდა გველი და კუდი გამოინასკვა.

მერე დაფიქრდა და თქვა:

— მერე და, გამახსენდება კი რისთვის გამოვინასკვე კუდი?

— რომ გაგახსენდეს, მეორედაც უნდა გაინასკვო,—ურჩია ბარტყმა.

გველი ერთხელ კიდევ გაინასკვა.

— თუ ესეც დამავიწყდა?—ჰკითხა ბარტყს.

— რომ არ დაგავიწყდეს, მესამედაც უნდა გაინასკვო!

გველი მესამედაც გაინასკვა, მერე—მეოთხედ, მეხუთედ... ინასკვებოდა და ინასკვებოდა, ვიდრე მთლიანად არ დაიხლართა.

— ახლა რაღა ვქნა,—გონს მოეგო გველი,—ადგილიდან ვეღარ ვიძვრი, და ისიც დამავიწყდა, რა უნდა გამეხსენებინა.

— გაიხსენე, გაიხსენე, ჩემი შეჭმა რომ გინდოდა!—გაიცინა ბარტყმა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ბუდისაკენ გასწია.

ის დღეა და ეს დღე, ბარტყი უდედოდ სასეირნოდ აღარ გამოდის.

თბილი სოკო

ვასილ ხამჩანკა

ნახატი ი. ზმიტროვიჩისა

ერთი ნაძვის ძირას ბებერი ვარყა იდგა. დღეები დათვლილი ჰქონდა: ფეხი მოღრეცოდა, გამოფიტვოდა და რის ვაი-ვაგლახით იმაგრებდა ფართოფარფლებიან ჩამოფლეთილ ქუდს.

ტყეში მივდიოდი და ამ საბრალო ვარყას მოვკარი თვალი. მინდოდა, ფეხით გამესრისა—მაინც აღარავის არგია-მეთქი. სწორედ ამ დროს სოკოდან ჰაწაწინა თავვი გამოცუნცულდა.

ჩამოვჯექი სოკოსთან, შევიხედე მის ქუდქვეშ და გავვოცდი; ვინ გინდა, რომ იქ არ იყო: ჰეჰელა, მუხლუხო, ჭრიჭინა, კალია, ხოჭო, ჭიამაია... ბაყაყიც კი.

ხელი შევახე სოკოს. თბილი იყო.

ტყეში კი გრილოდა. დილიდან ცრიდა და სოკოს ქუდქვეშ შეეფარებინა ტყის ბინადარნი.

ნახატები ა. გრუზინსკის

ბიბლიოთეკა

მტირალა

ატირდა ირინე, ქუჩაში რატომ არ მიშვებთო.

— რა გატირებს, ბებიკო, მოდი, პირი დაგბანო.

— მარტო პირი და ცხვირი დამბანე, თვალებს ხელი არ ახლო, კიდევ უნდა ვიტირო.

ნამცხვარი

— აბა, მიშა, არითმეტიკაში როგორა გაქვს საქმე?

— კარგად.

— რას გადიხართ ახლა?

— გაყოფას.

— ეს ნამცხვარი რომ შენ, კოლიასა და ვიტიას გაგიყოთ, მერამდენედი გერგება?

— ძალიან მცირედი.

მხატვარი

— რასა ხატავ, შვილო?

— ცხენს.

— მერე და, კუდი?!

— კუდი ჯერჯერობით ფანქარშია.

ვაშლები

დილით დედამ ვაშლები იყიდა და ბავშვებს უთხრა:

— აი, თქვენი სასუსნავი, სკოლიდან რომ მოხვალთ, მოულხინეთ.

საღამოს დედა სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ვერა მაგიდას მისჯდომოდა და ამოცანას იყვანდა. დედამ უთხრა:

— აბა, ჩემს ამოცანას თუ გამოიყვან! მე გიყიდეთ ვაშლები: შენ—ორი, პეტიას—ორი, კოლიას—ორი; სულ რამდენი ვაშლი გვქონია?

— არც ერთი,—უპასუხა ვერამ,—ყველა პეტიამ შეჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხყეში

ჯერა ვიარბა

ნახატი ა. კლაკსინისა

გუგულების გუგუ-გუგუ
და რაკრაკი ნაკადულის
როგორ მინდა, როგორ მინდა,
მოვისმინო ჩემი ყურით.

მაჟალო რომ ცვივა ხიდან,
და ძახველს რომ ადევს ალი—
ყველაფერი, ყველაფერი,
მინდა ვნახო ჩემი თვალით.

მეგობრები

ილია მურავეიკა

ცრემლად იღვრება ვიტია,
შეწუხდა ჩვენი კოლია:
— რა მოგივიდა, შე კაცო,
ტირიხი გამიგონია?!

ჯოხი მომიხვდა, რა მოხდა,
ვაჟკაცი ვარო—ეს არი?!.
აჰა, ჯოხი და დამარტყი,—
განა ვიტირებ შენსავით.

ბუ და კოდალა

ბელორუსული ხალხური ზღაპარი

იყო ერთი კოდალა—ხეკაკუნა. ირიჟ-რაჟებდა თუ არა, უკაკუნებდა და უკ-აკუნებდა ხეებზე; მე შენ გეტყვი და, დაიღლებოდა! ერთხელაც დილაუთენია ფიჭვზე ისეთი რაკარუკი ატეხა, რომ მთელი ტყე გააყრუა.

ამ დროს მისი მეზობელი ბუ—ბრიყვი ბუალა, ის-ის იყო, დაძინებას აპირებდა.

— რაკ-რუკ-რაკ!—კაკ-კუკ-კაკ!—ყური მოჰკრა ბუმ კოდალას კაკუნს და თავი გამოჰყო ფუღურიდან:

— გონს მოდი, ბატონო ხეკაკუნავ.. რა ამბავში ხარ, ძილი დამაცადე!

— ჰმ! — გაიკვირვა კოდალამ, — რა დროს ძილია ამ შუადღისას?

— როგორ თუ რა დროს ძილია,— დააბრიალა მრგვალი თვალები ბრიყვმა ბუალამ,—ნუთუ არ იცი, რომ მთელ ჩემს მოდგმას—ყველა ჭოტსა და ზარნაშოს დღისით ძინავს!

— ღამით რალას აკეთებთ?

— დავფრინავთ, საზრდოს დავეძებთ. აბა, კოდალებივით ბრიყვები ხომ არა ვართ, ღამით ვიძინოთ და დღისით საჭ-მელი ვეძებოთ.

— მე ღამით ფრენა არ შემიძლია,— მიუგო კოდალამ.

— რატომ?—გაოცდა ბუ.

— ღამით ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან.

— გადამრევს ეს ხეკაკუნა,—შეიცხადა ბრიყვმა ბუალამ,—ისიც არ იცი, რომ დღისით ბნელა, ღამით კი სინათლეა.

— დღისით.აა სინათლე, ღამით ბნე-ლა,—არ დაეთანხმა კოდალა.—განა ვერა ხედავ, დღისით ანათებს მზე, ღამით კი არა.

— რომელ მზეზე ლაპარაკობ! ასეთი რამ არც გამიგონია!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ბუ-ლა! მზეა რაც არი!

ნახატი ვ. ჟიხანოვიჩისა

— პირველად მესმის ასეთი რამე!—არ დაუთმო ბუმ.

— ეჰ, შენთან ლაპარაკი წყლის ნაყ-ვაა,—თქვა კოდალამ და უფრო მაგრად აუტეხა კაკუნი ხეს.

— ასე ხომ,—გაჯავრდა ბუ,—მაცადე და, ბუ არ ვიყო, თუ არ განანო, შენც მოგინდება ძილი...

დალამდა. ხეკაკუნამ ტკბილი ძილით ჩაიძინა.

შუა ძილში იყო, რომ უეცრად ვიღა-ცამ დაიკივლა:

— უ-უ-უ!

მერე კი ახარხარდა:

— ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა!

შეკრთა კოდალა, შიშისაგან აცახცახ-და, თვალები მოიფშვნიტა, დააკვირდა, დააკვირდა და რას ხედავს: შემომჯდარა ტოტზე ბრიყვი ბუალა და მთელი ხმით ხარხარებს.

— უჰ, შენ რა გითხრა!—თქვა კოდა-ლამ,—ამ შუადამისას რა დროს სიცი-ლია, წადი, დაიძინე!

— არა,—უთხრა ბუმ,—უნდა ვიმღერო!

— კაი რამე სიმღერა კი იცი, შენმა მზემ!

— ხა-ხა-ხა! უ-უ-უ!—უფრო ხმამაღლა ახარხარდა ბუ და ყველა ჭოტმა და მი-კიოტმა ბანი მისცა.

— დამაცადე, შე ჭყეტელა, შენა!— დაემუქრა კოდალა ბუს,—გათენდება და გიჩვენებ სეირს!

მეორე დღეს კოდალა მთელი დღე უკაკუნებდა ბებერ ფიჭვს და ძილს უფრ-თხობდა ბუს. მერე ბუ კიოდა და ხარ-ხარებდა მთელი ღამე.

მას აქეთ ასე უთენდებათ და უღამდე-ბათ კოდალასა და ბუს. ის დღეა და ეს დღე, ვერც ერთ.ს დაუძინია მშვიდად და ვერც—მეორეს.

ВЯСЁЛКА

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ბეზარაშვილი

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

საჰაერო გზა

დათომ თუთის ხეს ხელები მოჰხვია, აცოცდა, აცოცდა და კენწეროზე მოექცა. თუთას ბლომად ესხა. ბიჭი ჭამდა და ეზოში მოთამაშე ბავშვების გასაგონად განგებ ხმამაღლა გაიძახოდა:

— რა თუთაა, რა თუთა!

ელიკომ და მარიკამ დათოს ხმა გაიგონეს თუ არა, მაშინვე თუთასთან მიცვივდნენ.

— დათო, ცოტა თუთა ჩვენც ჩამოგვიყარე!

დათომ ტოტს ფეხი დაჰკრა. ბევრი თუთა ჩამოცვივდა, მაგრამ გოგონები მაინც იხვეწებოდნენ:

— ჩამოყარე რა, თუთა, ჩამოყარე!

— რაც ჩამოვყარე, ჯერ ის შეჭამეთ?!— გაგულისდა დათო.

— სულ ჭინჭრებში ჩაცვივდა, ვერ ავკრეფთ; ახლა სხვა ტოტი დაარხიე!—ისევ იხვეწებოდნენ პატარები.

დათომ ჩამოიხედა, თუთის ქვეშ ადგილი მოათვალიერა.

— რომ დავარხიო, ისევ ჭინჭრებში ჩაცვივდება.—ჩაილაპარაკა ბიჭმა და ჩამოხტა.

— აქედან დაგვიწიე ტოტი, ჩვენ ვერ ვწვდებით!-სთხოვეს გოგონებმა.

ცოტა ხანს დამაცადეთ, იმდენ თუთას გაჭმევთ, სულ „არ მინდას“ გაძახებინებთ—თქვა დათომ.—მერე შინისაკენ გაიქცა, სათამაშოებიდან პატარა წითელი ვედრო ამოარჩია, მარნის კუთხეში მიყრილ უფროსი ძმის სამუშაო იარაღებიდან მავთულის ნაწყვეტი აიღო, კანაფიც გამოძებნა და ისევ თუთის ხესთან გაჩნდა

— წადით, ბუერის ფოთლები დაკრიფეთ, ვედროში ჩავაფინოთ!— უთხრა გოგონებს და საქმეს შეუდგა: მავთულის ერთი ბოლო მოშორებით ჩირგვზე დაამაგრა. მერე ვედროს სახელურზე კანაფი გამოაბა და ამასობაში კიდეც მოირბინეს გოგონებმა, აუარებელი ბუერის ფოთოლი მოიტანეს.

დათომ ვედროში მხოლოდ ერთი ფოთოლი ჩააფინა. მერე ცალი ხელი მავთულის თავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფაღ ბოღოსა და ვედროს ჩაჰკიდა და ხეზე აცოცდა.

მარიკა და ეღიკო გაოცებუღები იყურებოდნენ მაღღა, ხან რა იფიქრეს, ხან რა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდნენ, რისთვის გააბა დათომ მავთუღი.

— აჰა, ჭამეთ, რამდენიც გინდათ!—გაისმა დათოს ხმა და ტოტზე გამობმუღ მავთუღზე სრიაღით დაეშვა თუთით სავსე ვედრო.

— უყურე, მარიკა, უყურე, როგორ მოსრიაღებს ვედრო მავთუღზე!—წამოიძახა ეღიკომ.

— ვედრო კი არა, გოგო, საბაგირო ვაგონია!—შეუსწორა მარიკამ.

გოგონები ვედროს მისცვივდნენ, ცერის სიმსხო ხართუთას მუჭა-მუჭა იყრიდნენ პირში.

— კიდევ გინდათ?—ამაყად ჩამოსძახა დათომ.

— გვინდა, კიდევ გვინდა! ბიჭმა ვედროს სახეღურზე გამობმუღ კანაფს მოჰჭაჩა და ცარიეღი ვედრო მავთუღზე ასრიაღდა.

ეღიკო და მარიკა უყურებდნენ მავთუღზე მოსრიაღე ვედროს და აღტაცებით გაიძახოდნენ:

— საბაგირო გზა, საბაგირო გზა!

თუთა რომ მოიღია, „საბაგირო გზაზე“ გოგონები თავიანთ დედოფაღებს დაასეირნებდნენ ვედროთი.

ჩიკორი

უშანგი ზარეკიძე

ტკაც-ტკუც, —
შემომკრავენ მათრახს.
ტაშ-ტუშ, —
ავცეკვდები ხეღად.
ჩიკორი ვარ, თქვენი თითისხეღა,
სიხარუღით შემომცქერის ყვეღა.

ჩვენი ბანაკი

კ. გოგიაშვილი

ვინ არ იცნობს ჩვენი სოფლის
ხევებს და ველებს ბარაქიანს,
მაღლა, მთაზე სახლი რომ ჩანს,—
პიონერთა ბანაკია.

რიჟრაჟიდან ბინდბუნდამდე
ფუსფუსი და ხალისია,
ბიჭუნებმა, გოგონებმა
აქ მოწყენა არ იციან.

თევზაობენ, ბანაობენ,
ჰო, რა კარგი ზაფხულია!..
ბეჯითები, ყოჩაღები
ბებერ ციხეს გარს უვლიან.

ელენე ქვინიხიძე

კუ

გია აივანზე გადმოდგა და თანატოლებს გადმოსძახა:

— კუ მოიყვანეს! უჰ, რა დიდი კუ მოიყვანეს!

ბავშვები ჟრიამულით გამოცვივდნენ ტყიდან და ჟივილ-ხივილით შევიდნენ საბავშვო ბაღში. ზოგმა ჩაიჩოქა, ზოგი ჩაცუცქდა, ზოგიც დაიხარა და ისე უკირკიტებდა კუს.

კუ ბავშვების ჟრიამულს აინუნშიც არ აგდებდა,—არხეინად დაბობღავდა სათამაშო ოთახში გაპრიალებულ იატაკზე.

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

ჩვენი სოფლის ტყეს და წყაროს
სილამაზე არ აკლია,
მაღლა, მთაზე სახლი რომ ჩანს,
ის ხომ ჩვენი ბანაკია.

— სახლი უნდა ავუშენოთ, თორემ გაგ-ვეპარება,—თქვა გიამ.

მალე ძია გიორგიც მოვიდა და სახლის აგებას შეუდგნენ. ზოგი ფიცარს აწვდიდა ძია გიორგის, ზოგი—ლურსმანს.

აი, სახლიც მზად იყო.

კუდრაჭა ნინო კარგა ხანს ტრიალებდა კუს სახლთან. უცქერდა, როგორ ჭამდა კუ... მერე სადღაც გაიქცა. რომ მობრუნდა, სახ-ლის კარი გამოაღო და კუს ზურგზე კაკ-ლის ნაჭუჭის ნახევარი დაადო. ნაჭუჭისა-თვის ნინოს ფეხებიც კი გაეკეთებინა, ძალიან ჰგავდა პაწაწინა ნამდვილ კუს: გეგონებო-დათ, კუს შვილია და დედის ზურგზე წა-მოსკუპულაო.

უცებ ნინო ისევ სადღაც გაქრა, მერე კვლავ კუსთან გაჩნდა.

— დააბნელეთ, გეხვეწებით, დააბნელეთ!

დარაბები დახურეს და სათამაშო ოთახი დაბნელდა. ნინიკომ დეიდა ელენეს ასანთი სთხოვა და... უცებ სანთელანთებული კუ გამოჩნდა.

ყველანი მიცვივდნენ კუს და რას ხედა-ვენ: ნინოს ერთი პატარა სანთელი კაკლის კუზე დაემაგრებინა, სამი მოზრდილი სან-თელი კი—დიდი კუს ზურგზე. გაჩირაღდნე-ბული კუ ნელ-ნელა მისეირნობდა.

— რა ლამაზია, რა კარგია!—გაეხარდათ ბავშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსეს ეკუთვ

ლოდო ვეღაჭკორია

ნახატი ლამპარა დანელიასი

ჩვენი სახლი პაპის აშენებულია.

პაპა მოხუცებულია და ჩვენი სახლიც ძველია. აივნის წინ პაპის დარგული დიდი წაბლი დგას. გამოზაფხულდება თუ არა, წაბლზე ყვავილები სანთლებივით დაინთება. მერე დაუბერავს ქარი და ეზოში ყვავილების კორიანტელს დააყენებს.

ერთ დღეს ამ ჩვენი სახლის იატაკის ფიცარი ისეთი ხმაურით ჩავარდა, კინაღამ გული გაგვიხეთქა. მამამ კოტე მაშინვე აფრინა დურგალთან.

— მოდი, ერთი, თუ კაცი ხარ, ეს იატაკი დააკერე, თორემ ბალღები კისერს მოიტეხავენ.—უთხრა მამამ ულვაშა დურგალს.

დურგალმა ფეხით მოსინჯა იატაკი. მერე ყუთიდან ხელსაწყოები ამოალაგა და მუშაობას შეუდგა. ჯერ იატაკი სუფთად ამოჭრა და მერე ახალი ფიცრის გარანდვა დაიწყო. ამოჭრილ იატაკს შავი ხახა დაეღო. ჩვენი ბებერი კატა იქაურობას არ მოსცილებია. წარამარა ყურებს ცქვეტდა. დიდი ეშმაკი ვინმე კი გახლავთ: ეზოდან წაბლის ხეს ამოჰყვება ხოლმე და ისე ამოდის აივანზე, მერე მზეზე გაიშოტება და კრუტუნებს.

— ასე ზოგი დედაკაცი კაბას ვერ დააკერებს,—თქვა პაპამ და დურგალი სუფრასთან მიიპატიჟა.

— იცოცხლე, შენი ჭირიმე, იცოცხლე. დიდი მადლობელი ვარ, თუ რამე დაგჭირდეთ, აქა ვარ!..—დურგალმა ულვაში ჩამოიწმინდა, პაპას ხელი ჩამოართვა, ქუდი დაიხურა და წავიდა.

დაკერებულ იატაკზე გავირბინ-გამოვირბინეთ და უცებ კოტემ ყურები სცქვიტა,—ჩვენი კატა კნაოდა. აქეთ ვეცით, იქით ვეცით... სახლის ყველა კუთხე-კუნჭული მოვირბინეთ და ძლივს მივხვდით: კნავილი იატაკის ქვემოდან მოისმოდა.

— ვირთხებს ჩაუხტებოდა ჩვენი ბებერი, ის კი აღარ იფიქრა, ამოსასვლელ გზას ჩამიკეტავენო.—ჩაიცინა პაპამ.

— შენი ჭირიმე, მამა, იატაკი ამოვჭრათ!—შეეხვეწა კოტე მამას და ცული მოარბენინა.

— ჩვენ ვერას გავხდებით, შვილო, იატაკი ისე საგულდაგულოდ გააკეთა იმ დალოცვილმა. ნუ დარდობ, დურგალი დილით ისევ გადმოიყვანე, უარს არ გეტყვის... აყრის იატაკს და კატასაც ამოგიყვანს,—დაუყვავა მამამ.

კატა კი კნაოდა და კნაოდა გულსაკლავად.

— რას ამბობ, მამი! ამაღამ იქ დავტოვოთ?! გესმის, როგორ კნავის?!

— მაშ, შენი ჭკუით, რა უნდა ვქნათ?—გაბრაზდა პაპა,—იატაკი ავჩეხოთ?!

კოტეს არ უპასუხნია, ეზოში გავარდა და დურგლის სახლისაკენ გაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტყეს

ჯანსუღ ჩარკვიანი

საქართველოს ტყეს,
ხოხობსა და მწყერს,
საქართველოს ველს,
ირემსა და შველს—
ყოველდღე და მუდამ
მოფრთხილება უნდა.
ულამაზეს კუთხის
მკვიდრი გახლავთ შურთხი,
მოგოგმანებს კაკაბი
ცისარტყელის ცხრაკაბით...
სანამ კიდევ რიხით
დაბრძანდება ჯიხვი,
სანამ კიდევ დარჩა
ღურაჯი და არჩვი,
სანამ ერთი-ორი
დაგოგმანებს გნოლი,
სანამ მწვანე არის
ჩვენი ხე და მოლი—
დედასაქართველოს,
ტყეს, მთასა და მდელოს,
ყოველდღე და მუდამ
მოფრთხილება უნდა.

ნახატი დიმიტრი ზარაუიშვილისა

ზაქარას თავგადასავალი

1. ზარმაცებმა დაიძინეს. დაღლილ ზაქარასაც ჩასთვლიმა.

2. განთიადისას კუნძულს მეკობრეების ხომალდი მოადგა.

3. მეკობრეებმა სამივე დაატყვევეს

4. აჩარას და ბაჩარას კასრებით გემზე წყალი აზიდვინეს.

5. კაპიტანმა ზაქარა მოსამსახურედ დაიყენა და მეზღვაურის ტანსაცმელიც კი უბოძა.



6. აჩარას და ბაჩარას ჯერ გემბანის მორეცხვა უბრძანეს, მერე აცეკვეს. ანძაზე მიაბეს და ღვთის ანაბარა დატოვეს.

7. ზაქარა მთელი დღე ემსახურებოდა კაპიტანს.



8. მერე დასვენების ნება მისცეს. იგი ხის კასრში ჩაძვრა და ფიქრს მიეცა, თუ როგორ დაეხსნა თავი.

ტექსტი და ნახატები ვლ. ჯაბუაძისა

გრძელი კაბა

თამარ ჩხაიძე . ნახატი გიორგი როინიშვილისა

ნინუცას ძალიან უნდოდა, დიდი გოგო ყოფილიყო.

— ამაზე ადვილი რა არის: მოდი, გრძელ კაბას ჩავიცვამ და დიდი ვიქნები,—და დედიკოს კაბა ჩაიცვა.

— გავიზარდე?!—ჰკითხა დედოფალას. დედოფალა შუშის თვალებით მისჩერებოდა და არც ჰოს ამბობდა, არც—არას.

— მოდი, დედიკოს ფეხსაცმელებს ჩავიცვამ და უფრო დიდი ვიქნებიო,—და მაღალ ქუსლებზე შედგა.

— გავიზარდე?!—ჰკითხა დედოფალას.

დედოფალა შუშის თვალებით მისჩერებოდა და არც ჰოს ამბობდა, არც—არას.

მოდი, დედიკოს ქოლგასაც გავშლი და მაშინ კი ნამდვილად დიდი ვიქნებიო,—გაიფიქრა ნინუცამ, მაგრამ ნაბიჯი გადადგა თუ არა, გამოედო ფლახუნა ფეხსაცმელი ფოფიალა კაბას და იატაკზე მოადინა ბრაგვანი.

აი, რა უყო გრძელმა კაბამ!

10.682

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურჯინი

ბელები

ნოდარ შამანაძე

ჯანტა ვაშლზე დედა დათვი
ტოტებს ბერტყავს ბარტყაბურტყით,
მიტორტმანებს, მოტორტმანებს,
ჯანტა სცვივა ჯანტაპუნტით.
ძირს ბელები ბუნგალობენ,
ტაში-ტუში, ტაში-ტუში!
დუდღუნებენ, ბურდღუნებენ,
ჯანტას ჭამენ ხრაშახრუშით.

გამოცანები

* * *

ქათმის დიდი მტერია,
არის კუდაგრძელია...
რა იქნება?

* * *

ძლიერ უყვარს თაფლი,
მაყალო და წაბლი
რა იქნება?

გიორგი მეფრეველი

იუგოსლავური საბავშვო ჟურნალიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია ხუმრობა ვეფე მიშველეთ

* * *

— მამა, პოლუსელი უნდა გავხდე.

— ყოჩაღ, შვილო!—მოუწონა მამამ.

— მაგრამ ჯერ სიცივეს უნდა შეეჩვიო.

— მერე და როგორ უნდა შეეჩვიო?

— ყოველდღე სამ-სამი ნაყინი უნდა მიყიდო.

* * *

— ვინ იცის ანბანი?—შეეკითხა მასწავლებელი პირველკლასელებს.

— მე!—ყველას დაასწრო ერთმა ხელი აწია.

— მაშ, მითხარი, რომელი ასო მოჰყვება „ანს“?

— ყველა დანარჩენი.

რებუსები

შეადგინეს ** კოტე ეკალიშვილმა** და **მარინე მარსაგიშვილმა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **კაკური გოგიბაშვილი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა, იორამ ქემერტელიძე** (პ/მგ. მდივანი), **შალვა ცხადაძე** (სამხატვრო რედაქტორი), **გივი ძნელაძე.**

საქართველოს ახალგაზ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი

ყდაზე ნახატი ზურაბ ზ.ორჩხიძისა **ტექრედაქტორი ვიორგი როინიშვილი**

გამოცემის **41-ე** წელი. რედაქციაში შემოსული მასალები აიტორებს არ დაუბრუნდებათ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. გამოდ. ბეჭდ. № 1999. ანაწყობის ზომა 91/2 × 13 ტირაჟი 105.800. ქაღ. ზომა 60×90 1/8 ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-68 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატში ლენინის ქ. № 14. „ПИЛА“ № 8 на грузинском языке. Тбилиси, просп. Цхакаева № 91

რედაქციის მის.: ქ. თბილისი, ბოლოსლოის ქუჩა. № 91. ტელ. 95-87-68, 95-18-09. ფასი 20 კაპ.

6.183/150

ბავშვებო, დააკვირდით ამ ნახატს!—რომელი ზღაპრის ილუსტრაციაა?!

ნახატი სოსო გაბაშვილისა

76055